

ფემინისტური პრობლემა ნათანიელ ჰოთორნის

„ალისფერი ასოს“ მიხედვით

ნონა მეგრელიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

Abstract

American writing of the nineteenth-century is the specific step in the history of the world literature. It serves as common events in humans lives and is full of breath of epoch, as concrete facts which are characteristic for America.

Research of Hawthorne aesthetics, detail discussions about art, using of a man and nature correspondence and all kinds of mirrors and reflections, as using poet's symbols, gives us a base to think that his ideology is corresponded to transcendental aesthetics. "The Scarlet Letter" by Nathaniel Hawthorne bares negative sides of puritan ideology by artistic ways and shows woman's hard state in society in the form of the main heroine Hester Prynne, which expresses femininity ideas, its resistances, protest, on the way of protect her own rights. At this point, "The Scarlet Letter" is considered as one of the first work in the history of American literature for fighting of woman's rights.

Hawthorne's views are connected to puritan's in many ways, though it doesn't mean, that writer applies puritan's religious and its followers idealization. The writer shows negative and critical dependence to them in his "Novel". He is especially interested in morality matters, which are followed from the strong influence in puritan's creation. The "Novel", created in early period of puritan's colonization, shows Calvinist aspiration for high moral, guilty and confession, for spiritual rescuing.

Our aim is to emphasis "The Scarlet Letter" as one of the most distinguished work in the history of American literature and today's meaning as protection of human rights.

აბსტრაქტი

მე-19 საუკუნის ამერიკული მწერლობა, განსაკუთრებული საფეხურია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. იგი ემსახურება როგორც საერთო მოვლენებს კაცობრიობის ცხოვრებაში და ეპოქის სუნთქვითაა გაჟღენთილი, ისე საკუთრივ ამერიკისთვის დამახასიათებელ ფაქტებს.

ჰოთორნის ესთეტიკის კვლევა, ხელოვნებაზე შეხედულებების დეტალური განხილვა, კაცისა და ბუნების შესაბამისობის გამოყენება სარკეების და ყველა სახის ანარეკლის, როგორც პოეტის სიმბოლოს გამოყენება, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ რომ, მისი მსოფლმხედველობა ტრანსცენდენტალისტურ ესთეტიკას შეესაბამება. ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერი ასო“ მხატვრული ხერხებით აშიშვლებს პურიტანული იდეოლოგიის უარყოფით მხარეებს და აჩვენებს რა ქალის მძიმე მდგომარეობას საზოგადოებაში, თავად მთავარი გმირის ჰესთერ პრინის სახით, ერთგვარად გამოხატავს ქალურობის იდეას, მის წინააღმდეგობას, პროტესტს, საკუთარი უფლებების დაცვის გზაზე. სწორედ ამიტომ, რომ „ალისფერ ასოს“ მიიჩნევენ ქალის უფლებებისათვის ბრძოლის გამომხატველ ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებად ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში.

ჰოთორნის შეხედულებანი მრავალმხრივადაა დაკავშირებული პურიტანიზმთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მწერალი პურიტანულ რელიგიასა და მის მსახურთა იდეალიზაციას მიმართავს. თავის ნოველებსა და რომანებში აშკარად ავლენს მათდამი უარყოფით, კრიტიკულ დამოკიდებულებას. მას განსაკუთრებით აინტერესებს ზნეობრივი საკითხები, რაც მის შემოქმედებაში პურიტანიზმის ძლიერი ზეგავლენიდან მომდინარეობს. ადრეული პურიტანული კოლონიზაციის პერიოდში შექმნილი რომანი წარმოაჩენს კალვინისტურ სწრაფვას მაღალი მორალისადმი, დანაშაულისა და მონანიებისადმი, სულიერი გადარჩენისადმი.

ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ „ალისფერი ასოს“, როგორც ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოების ისტორიული და სადღეისო მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.